ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №843587

ნომერი: AR1149753

თარიღი : 26.07.2013

გაცემის თარიღი : 13.08.2013

გაცნობის თარიღი : 13.08.2013

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა კოსტავა , N 68 , (ნაკვეთი 9/26) / ქალაქი თბილისი , ქუჩა კოსტავა , N 68 , (ნაკვ.09/029) ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ამირან ნიკოლეიშვილი პ/ნ 01007000255
- წერეთლის 77 ბ.59

ორგანიზაცია:
- შპს სითი სთარ კოდი: 401960605

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 28.06.11 წლის #931 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში დამატების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს 07/26/2013 წელს AR1149753 განცხადებით მომართა შპს ,,სითი სთარი“–ს დირექტორი ამირან ნიკოლეიშვილმა და მოითხოვა 28.06.11 წლის №931 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა ნაკვეთის საკადასტრო კოდი შეცვლის გამო.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ 28.06.11 წელს ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ შპს "ტევე პლაზას"კუთვნილ მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით: 01.14.14.009.026 მრავალფუნქციური შენობის ასაშენებად დამტკიცდა #931 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები. აქტი გაცემულ იქნა შპს " ტევეპლაზას" დირექტორის დაკვეთით. დღეისათვის მიწის ნაკვეთს შეეცვალა როგორც მესაკუთრე ასევე კონფიგურაცია, ფართის უცვლელად.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა, შეიტანოს ცვლილება სამსახურის მიერ დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში საპროექტო მიწის ნაკვეთის კონფიგურაციის შეცვლასთან დაკავშირებით.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 28.06.11 წლის #931 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში, კერძოდ: დაემატოს ახალი საკადასტრო გეგმით და ამონაწერით საჯარო რეესტრიდან (ამონაწერის რეგისტრაციის №882012337757, მომზადების თარიღი: 19.07.12.წ); საკადასტრო კოდი №01.14.14.009.051 ფართობით: 1720 კვ.მ. საკადასტროს რეგისტრაციის №882012337742 მომზადების თარიღი: 17.07.12წ.) ;
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 28.06.11 წლის #931 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებთან ერთად;

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.